თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2017 წლის 27 ოქტომბერი, სხდომის ოქმი #9

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 21, სტუდენტები –4, სულ –25 წევრი.

დღის წესრიგი

1. ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

/დეკანი პროფესორი, თ. ბერიძე/

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 16 სექტემბრის ოქმი №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში“ ცვლილებების შეტანის შესახებ

/მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში აკაკი მიქაბერიძე/

3. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ შოთა ჭანტურიძის სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მანანა ლობჟანიძე/

4. მიმდინარე საკითხები

ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში აკაკი მიქაბერიძემ მოითხოვა დღის წესრიგიდან მე-2 საკითხის ამოღება: ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 16 სექტემბრის ოქმი №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში“ ცვლილებების შეტანის შესახებ,“ რადგან წარმოდგენილ

დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევის წესი კიდევ ერთხელ უნდა გადაიხედოს, მოხდეს მისი სრულყოფა და განხილვა გადაიდოს.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი აღნიშული ცვლილების გათვალისწინებით.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 27 ნოემბრის #9 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

/დეკანი პროფესორი, თ. ბერიძე/

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. ბერიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დოკუმენტი **„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოსდებულების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ" სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 4 მაისის N215 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე",** სადაც აღნიშნულია, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 4 მაისის N215 დადგენილებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში უნდა შევიდეს რიგი ცვლილებები, მაგრამ ამჯერად დასამტკიცებლად გამოდის მხოლოდ 2 ცვლილება, კერძოდ ეს ცვლილება ეხება დოქტორანტურის კოლოქვიუმს და სემინარს – დოქორანტის კოლოქვიუმები უქმდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა მანანა ლობჟანიძემ. მან აღნიშნა, რომ:

1. **დებულების მე-7 მუხლის 7.4. პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„7.4. დოქტორანტურის სავალდებულო კვლევითი კომპონენტის შეუსრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენით და დაცვით.“

2. **დებულების მე-8 მუხლის 8.2. პუნქტი ამოღებულ იქნას.**
3. **დებულების მე-8 მუხლის 8.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„8.3. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

დასახელება	*სტატუსი*	*კრედიტ. რაოდენობა*
სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5 კრედიტი
პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	15 კრედიტი
სემინარი	სავალდებულო	15 კრედიტი
აკადემიური წერა	სავალდებულო	5 კრედიტი
არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოდლოგია და მეთოდიკა	არჩევითი	10 კრედიტი
სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში	არჩევითი	5 კრედიტი
მეცნიერების მენეჯმენტი	არჩევითი	5 კრედიტი
კვლევის მეთოდები	არჩევითი	5 კრედიტი
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	არჩევითი	10 კრედიტი
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი	არჩევითი	10 კრედიტი

აზრი გამოთქვეს: აკად. ა. სილაგაძემ, ასოც. პროფ. ა. ჩუთლაშვილმა, ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილმა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: შევიდეს აღნიშნული ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ შოთა ჭანტურიძის სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მანანა ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა მანანა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №10 27.09.2013) შესაბამისად თსუ–ს პერსონალს (ადმინისტრაციულ-დამხმარე ან აკადემიური), განესაზღვრათ შეღავათი, წლიური სწავლის საფასურის 50%-ის ოდენობით. ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს (ოქმი №11, 20.10.2017) გადაწყვეტილებით, როგორც თსუ შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს, აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%-ით, 1125 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **შოთა ჭანტურიძეს** მოქმედი რეგულეციის შესაბამისად გაეწიოს შეღავათი და სწავლის საფასური განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%-ით, 1125 ლარის ოდენობით.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს მდივანი მ. ნაცვალაძე